19/01/2019

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ნათლისღებას აღნიშნავს

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ნათლისღების დღესასწაულს აღნიშნავს. საზეიმო წირვა უწმინდესმა სამების საკათედრო ტაძარში ჩაატარა. ილია მეორემ მრევლს დღესასწაული მიულოცა და ნაკურთხი წყლის სიწმინდეზე ისაუბრა.

კათოლიკოს პატრიარქმა დღესვე დიდ დიღომში აფეთქებისას დაღუპულთა სულები მოიხსენია. რაც შეეხება საყოველთაო ნათლობას, ის ხვალ გაიმართება. პატრიარქის ნათლული კიდევ 600-ზე მეტი ბავშვი გახდება.

ნათლისღების დღესასწაული თორმეტ საუფლო დღესასწაულს შორის ერთ-ერთია. ის მდინარე იორდანეში იოანე ნათლისმცემლის მიერ მაცხოვრის ნათლობას უკავშირდება. ამ დღიდან იღებს სათავეს პირველი საეკლესიო საიდუმლო, ნათლობის წესი. 19 იანვარს ტაძრებში წყალი იკურთხება. მორწმუნეებს ნაკურთხი წყალი სახლში

მიაქვთ და მას პატრიარქის კურთხევის შესაბამისად იღებენ.

(1tv.ge)